



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 16

განკარგულება

27/02/2020

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№31/733; 13/02/2020) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ სამტატო ნუსხასა და სახელფასო განაკვეთებში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრამის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ 2020 წელი

#	შტატების დასახელება	შტატი	განაკვეთი
	სულ:	89.5	
	ადმინისტრაცია	26	
1	მმართველი	1	1250
2	მოადგილე	1	700
4	ადმინისტრაციული სამსახურის მენეჯერი	1	450
5	საფინანსო-ეკონომიკური და სახელმწიფო შესყიდვების მართვის მენეჯერი	1	600
6	ბუღალტერი	1	500
7	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	1	450
8	არქივის სპეციალისტი	1	250
9	საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი	1	350
10	კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და პროექტების კოორდინატორი	1	300
11	კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და პროექტების კოორდინატორის თანაშემწე	1	300
12	კულტურულ ღონისძიებების მუსიკალური მიმართულების კოორდინატორი	1	300
	მეთოდისტი	1	600
13	ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი	1	300
14	სცენარისტი	1	550
15	ლოჯისტიკის მართვის მენეჯერი	1	450
16	ლოჯისტიკის მართვის სპეციალისტი	2	350
18	დარაჯი	4	200
19	დამლაგებელი	5	200
	მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი	22	0
20	მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის მენეჯერი	1	550
21	მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის მენეჯერის თანაშემწე	1	250
	ქორეოგრაფი	2	270
22	წრის ხელმძღვანელი	18	530
	სამხატვრო სკოლა	12.5	
23	სამხატვრო სკოლის მენეჯერი	1	550

24	სასწავლო აღმზრდელობითი მიმართულების კოორდინატორი	1	300
25	გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტი	1	300
26	სამხატვრო ფონდების სპეციალისტი	1	300
27	სახვითი ხელოვნების მიმართულების სპეციალისტი	1	300
28	საგამოფენო დარბაზის კურატორი	1	300
29	გამოფენების სპეციალისტი	1	300
30	პედაგოგი	5.5	400
	თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლა	29	
31	თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლის მენეჯერი	1	550
32	სასწავლო აღმზრდელობითი მიმართულების კოორდინატორი	1	300
33	კადრების და კანცელარიის სპეციალისტი	1	250
34	ფორტეპიანოს ამწყობი	1	200
35	პედაგოგი	25	400

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო